ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘ

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენითაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 31 | ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, ᲛᲐᲠᲢᲘ, 1959 წ. | GEORGIAN OPINION | NEW YORK, MARCH 1959

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ

აღმოსავლეთ გერმანიის გაზეთები გაკვირვებული კითხულობენ: „რა მოხდა, რამ აიღლვა ბონი და მისი დასავლეთელი იმპერიალისტები? საბჭოთა კავშირმა დააყენა საკითხი, რათა ერთხელ და სამუდამოთ გაარკვიოს ბერლინის საკითხი, რომ ეს ქალაქი სახ. დემოკრატიული რესპუბლიკის დედა ქალაქია და დასავლეთელებს არა მართებდათ ამის გამო პანიკური მდგომარეობა შეექმნად“-ო.

როგორც ყოველთვის, კომუნისტურმა პროპამ, ამ შემთხვევაშიც დასავლეთი გამოიყენა დამნაშავედ! კრემლი და მისი მოკავშირე პანკოვის რესპუბლიკის ლიდერები მართალი ადამიანის პოზით კითხულობენ „რა მოხდაო“ და თვითონვე იძლევიან პასუხს, რომ „დასავლეთის იმპერიალისტები და ომის მაძიებელნი ცდილობენ საბჭოთა კავშირის მიერ მსოფლიოში მშვიდობიანობის დასამყარებლად და ომის ის საშიშროების ატმოსფერის გასაწმენდათ წამოყენებული ბერლინის საკითხი, თავის იმპერიალისური ზრახვებისათვის გამოიყენონ.

ეს არის სუფთა კომუნისტური ლოღიკა! თუ ყველაფერს უომრად არ მომცემ, ომის მაძიებელი ხარ, თუ თავი დაიკავი და კრავივით არ ჩაუვარდი მგელს პირში, იმპერიალისტი ხარ!!

ასეთი იყო და დარჩა რუსულ კომუნისტური იმპერიალიზმის ზნე, წესი და ბუნება.

ჩვენის ღრმა რწმენით კი, კრემლის ამ მოძრაობაში ძალიან ბევრია ასაღლვებელი და ასაფორიაქებელი. უპირველეს ყოვლისა სწორედ ის, რომ თუ დასავლეთმა კრემლის მოთხოვნილება დაკმაყოფილა ეს უდიდესი მარცხი იქნება თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყნების დიპლომატიასა, რადგან თავისუფლებისთვის მებრძოლ ქვეყნების თვალში დასავლეთის დემოკრატიას დასცემს და ნდობას დაუკარგავს, ხოლო თუ ამას წინააღმდეგობა გაუწიეს, კრემლს ორი არჩევანი რჩება: ან თავის პოზიციიდან უკან დაიხოს და თავისი ლაზღნდარა ბუნება ერთხელ კიდევ გამოამჟღავნოს ან თავისი გარდაწყვეტილება დაიცვას და თუ დიპლომატიურ ფრონტზე დამარცხდა, ძალით ვაიტანოს.

მართალია კრემლისათვის იურისდიქციას არაკეთარი მნიშვნელობა არა აქვს და მათი უფლება მხოლოდ ზარბაზნის ძლიერებით იზომება, (ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ მოვაგონებთ ომის პერიოდში რუზველტ, ჩერჩილ, სტალინის ერთ-ერთ შეხვედრის დროს, როდესაც დასავლეთელები რომის პაპის დიდ მორალურ ძალაზე და მის გამოყენებაზე ლაპარაკობდნენ, სტალინმა ირონიულად იკითხა: „რამდენი დივიზია ჰყავს პაპსაო“) მაგრამ მაინც საჭიროთ მიგვაჩნია ორიოდე მოსაზრება გამოვთქვად და ხრუშჩოვის „ულტიმატუმს“ იურიდიული თვალსაზრისით გაუსინჯოთ კბილი.

ომის და მისი დამთავრების პირველ პერიოდში ბერლინის და საზოგადოთ გერმანიის საკითხი მოკავშირეთა შორის გარკვეული იური დიული კანონ-ზომიერებით იყო დადგენილი და ყოველი დაინტერესებული სახელმწიფოს უფლება მოვალეობა განსაზღვრული და ეს სრულებითაც არ არის დამოკიდებული საბჭოთა ლიდერების გუნებ-განწყობილებაზე. მოკავშირეთა უფლება-მოვალეობა გერმანიის მართმა მრავალჯერ იყო განხილული დასავლეთის პრესაში, ხოლო უფრო დასრულებული და ჩამოქანდაკებული სახე მისცა „სტეიტ დეპარტამენტმა“ თავის სპასუხო ნოტაში, რომე ლიც გამოქვეყნდა გასულიდეკემბრის 20-ს

მოკავშირეები იბრძოდნენ მესამე რაიხის დასამხობად, ხოლო დამხობის შემდეგ „ისენი ახდენენ გერმანიის სამხედრო ოკუპაციას. საოკუპაციო ხელისუფლება წარმომადგენს მართვა-გამგეობის უმაღლეს წარმომადგენლობას და ყოველი ოკუპანტი დამოუკიდებელია თავის ზონაში“. გარდა ამისა შეთანხმება ითვალისწინებს თვით ბერლინის საკითხს, რომ „მოკავშირეთა ყოველ ქვეყანას უფლება აქვს დაიკაოს ქალაქის განკუთვნილი ზონა, ყოველ საოკუპაციო ზონაში „გავლის“ უფლებით. ამ გვარად, საბჭოთა კავშირმაც, როგორც დანარჩენმა სამმა ქვეყანამ, დაიკავა ბერლინის ერთი ნაწილი და მას დაკისრებული აქვს იგივე უფლება მოვალეობანი, როგორც დანარჩენ გამარჯვებულ ქვეყნებს. რადგან შეთანხმებაში ნათქვამია, რომ ყოველი ქვეყანა თავის საოკუპაციო ზონაში დამოუკიდებელია, ეს თავის-თავად სპობს შესაძლებლობას, რომ ერთმა ქვეყანამ მეორის უფლება—მის საოკუპაციო ზონაში გაუქმოს, ან შეამციროს. თუ ნიკიტა მაინც თავს იდებს დასავლეთელების თავ თავის ზონიდან განდევნას დაბერლინის ნეიტრალურ ქალაქად გამოცხადებას, ეს ერთის მხრივ მისი უპასუხისმგებლო ლაზღანდარობაა. ხოლო მეორე მხრივ ფსიქოლოგიური თავდასხმა, რათა დასავლეთის დემოკრატია მუდმივ ომის საშიშროების ქვეშ იყოლიოს და სხვა სხვა შემთხვევების გამო ახალ-ახალ „მოლაპარაკებებში“ ახალ დათმობებზე წაიყვანოს.

(აკი დასავლეთის კოალიციის ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი უკვე ეახლა ნიკიტას სამოდიშოდ და მშვიდობის გამოსათხოვნელად! ნუ თუ ინგლისი კვლავ ძველი „ჩემბერლენისეული მიუნხენის გზით სვლას არჩევს)?!.

დას. გერმანია-ბერლინის საკითხით დაინტერესებულმა ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა ნათლად უნდა წარმოიდგინოს, თუ სინამდვილეში რა ზრახვა აქვს რუსულ კომუნიზმს, რომ დესაც ბერლინის საკითხს აყენებს და რაც მთაყარიაესაჭიროა შეუმცდარათ ვიცოდეთ, თუ რა საშუალებები აქვს რუსეთს, რომ მუქარა შეასრულოს და მიზანს მიაღწიოს?

დასავლეთის პრესაში, ამის გამო მრავალი მოსაზრება გამოითქვა, უმრავლესობა კი ორ მთავარ მოსაზრებას იზიარებს. პირველია, რომ კრემლი ყოველი საშუალებით ცდილობს „ოთხი დიდის“ თათბირს მიაღწიოს და მეორენი ამტკიცებენ, თითქოს ამ ახალი თავდასხმის მიზანია დასავლეთელები აიძულოს და აცნობინოს პანკოვის მთავრობა. შეიძლება ხრუშჩოვის ბოროტ ზრახვებში ესეც შედის, მაგრამ არა პანკოვის სიყვარულით, არამედ ბერლინის ხელში ჩაგდების განზრახვით. ამგვარად მიზანი უცვლელია: დასავლეთელების ბერლინიდან განდევნა და ქალაქის მთლიანი და ერთ. თუ ხრუშჩოვი „მშვიდობიანი“ გზით გაინადგურებს და დასავლეთი ბერლინიდან გავიდა, მიზანი მიღწეულია და ახალ შემთხვევამდე კვლავ „თანაარსებობის“ ფორმულას დაუბრუნდება, ხოლო თავდასხმებს ქვეყნიერების სხვა კუთხეში გადაიტანს, იმ შემთხვევაში კი თუ დასავლეთელებმა ბერლინი არ და სტოვეს, მოსალოდნელია. რომ ის ძველ, სტალინურ „ბლოკადის“ გზას დაადგება.

თავის დროზე ბლოკადა ჩაიფუშა და მოსკოვისთვის სასურველი შედეგები ვერ გამოიღო... ჩაიფუშა, რადგან ამერიკის ე. წ. საჰაერო ხიდი საკმარისი გამოდგა, რომ ქალაქი და იქ მდგარი დასავლეთელების ჯარის მოთხოვნილება უზრუნველეყო. ამბობენ, რომ იმ დროს თავდაცვისათვის ქალაქი მოუზადებელი ჰქონდათ კომუნისტებს, ხოლო დღეს, გაძლიერებული და განვითარებული რადარები, ან სრულიად შეუძლებელს გახდის საჰაერო ხიდის მოწყობას, ან ეს იმდენათ შესუსტდება რომ შეუძლებელი იქნება ამ გზით ქალაქის დაკმაყოფილებაო.

მაშ რა საწინააღმდეგო საშუალება რჩება დასავლეთის დემოკრატიას?

ამას გარკვეულად უპასუხებს კრემლის უსაფუძვლო მუქარაში კარგად გარკვეული ეროეფ ასოი და ამბობს: „ერთმა დასავლეთელმა მეტად დაკვირვებულმა მოღვაწემ მითხრა: ერთად ერთი საშუალება, რომ ჩვენი უფლება და ვიცვად ბერლინწში და ჩვენი მოვალეობა ბერლინის მოსახლეობის მიმართ ის არის, რომ ბერლინის გამო საყოველთაო ომისათვის მზად ვიყოდ, ხოლო თუ რუსეთი ამაში დარწმუნდა მაშინ საომარიც აღარაფერი გვექნებაო“.

ეს დიდათ საპასუხისმგებლო ფორმულაა და საფათერაკო გამოსავალი მდგომარეობიდან, მაგრამ რა გზა რჩება თავისუფალ კაცობრიობას ამის გარეშე? კვლავ მოლაპარაკება, მოლაპარაკების დროს ბევრის ან ცოტას დათმობა! დათმობა დასავლეთელების მხრიდან, რადგან თავდამსხმელი ხრუშჩოვია და მოლაპარაკების მიზანია მისი, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილება, რასაც თან უნდა სდევდეს დასავლეთის პრესტიჟის დაცვა. რა ძალაა გარანტი, რომ ამ ახალი დათმობის ორიოდე თვის, ან წლის შემდეგ ისეთსავე მდგომარეობას არ შექმნის ხრუშჩოვი და ამით გაიმეჯნება რუსული იმპერიალიზმის დამპყრობელობითი მადა?!

მოლაპარაკებები და ნაწილ-ნაწილ ხრუშჩოვის დაკმაყოფილების გზა ჩვენ განწირულად მიგვაჩნია, რადგან ეს ახალი მიუნხენის გზაა, რომელმაც დაანთო მეორე მსოფლიო ომის ჩაუქრობელი ხანძარი.

ირიბულად დღეს ამ საკითხს დაუბრუნდა საბჭოთა კავშირი. დასავლეთ ბერლინიდან და სავლეთის მოკავშირეების განდევნა, მისი თავისუფალ, განიარაღებულ ზონათ გადაქცევა და „სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის“ კონტროლის იქ გაბატონება, სწყვეტავს არა მარტო დასავლეთ გერმანიის, არამედ მთლიანად ცენტრალური ევროპის საკითხს.

ეს იყო და დარჩა კრემლის დიპლომატიის მიზანი, რომ ევროპიდან ამერიკელების განდევნით, კბილებამდე შეიარაღებულ რუსეთის პირის-პირ შერჩეს მორალურად წამხდარი და მილიტარულად განადგურებული ევროპა. სხვანაირად შეუძლებელია ახსნა თუ რატომ ცდილობს მოსკოვი ამერიკა დააშოროს თავის მოკავშირეებს და იგი ევროპიდან განდევნოს. ისტორია გვიმტკიცებს, რომ კეთილად განწყობილ მეზობლებს ხელს არ უშლის საზღვრის სიახლოვე, რომ მეგობრობა დაიცვან, ისიც ფაქტია, რომ ჩვენს ეპოქაში, საზღვრის სიშორე ხელს არ უშლის, რომ „კონფლიქტები“ ხშირ ხშირად წარმოიშვნენ საჰაერო თუ საზღვაო მიმოსვლებში. მაშასადამე ბერლინის ნეიტრალიზაციით მოსკოვი უფრო თავის პოზიციებს გამაგრებას ცდილობს, ვიდრე ომის საშიშროების შენელებას და შესუსტებას.

კრემლი ძალიან მეთოდიურად და დიდის მუყაითობით ურტყავს ერთი და იგივე წერტილს. ეს არის: ატლანტიური პაქტის დარღვევა, ევროპის თავდაცვის ორგანიზაციის მოშლა დასავლეთის მოკავშირეებს გაპობა და მათი ერთი მეორეს დაპირისპირება და დაჯახება. ამას ემსახურება ბერლინის განიარაღების და ნეიტრალობის გეგმაც.

ევროპიული თავდაცვის ერთი მნიშვნელოვანი წევრი— დასავლეთ გერმანიაა, რომლის მნიშვნელობა უფრო გაბარდება და გაძლიერდება დროისა და გარემოების მიხედვით. დღვიდი წარმოსადგენია, რომ ბონის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს ბერლინის დასავლეთის ზონის განიარაღებას და იქ პანკოვის მთავრობის კონტროლის დამყარებას. კრემლის ფიქრით, თუ დასავლეთი ამ კომპრომისზე წავიდა და ნიკიტას შეუთანხმდა,აქ ფინდწენ გამორიცხულია დას. გერმანიის თანხმობა. ბონის მთავრობამ მრავალჯერ განაცხადა, რომ გერმანიის გაერთიანების საკითხი და მისი სუვერენობა გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებში შედის და მისი ფიქრისა და ზრუნვის უახლოესი საგანი მხოლოდ ეს არის. დასავლეთის მოკავშირეების, და კერძოოთ, ევროპიელი თავდაცვის ორგანიზაციის წევრების სრული სიმპატია და თანაგრძნობა გერმანიის მხარეზე არის და გერმანიის გაერთიანების საკითხი მხოლოდ დროისა და გარემოების საქმეა და ადენაუერი სულგრძელური მოთმინებით უცდის ევროპიელი თავდაცვის ორგანიზაციის პარტნერებს და მათ ღრმა ნდობით შეჰყურებს, რომ ადრე თუ გვიან მას ხელს შეუწყობენ და გერმანულ სახელმწიფოს გაამოელებენ. ნიკიტას ახალი ცდა, რომ დასავლეთ ბერლინის განიარაღება- განეიტრალებაზე დაიყოლიოს,— ცდაა, რომ ბონი ევროპიულ თავდაცვის ორგანიზაციას დააშოროს და მასში ბზარი შეიტანოს. ადვილი წარმოსადგენია, რომ თუ დასავლეთი ნიკიტას ამ ახალ პროვოკაციას აჰყვა, მასზედ გულაყრილი და მისგან იმედ გაცრუებული დას. გერმანიას ერთად ერთი გზა ღა რჩება—გზა საკუთარი გარდაწყვეტილებისა. ეს კი დასაწყისი იქნება ევროპიული თავდაცვის ორგანიზაციის რღვევის პროცესის და როგორც ვიცით „პაპიჭს წვერი თუ მოერღვა ბოლომდე უნდა ჩაივდეს“

ასეთია კრემლის განზრახვა მრავალჯერ გამომჟღავნებული და მრავალგზით დამარცხებული.

დასავლეთის დამოკრატიული ქვეყნების რეაქცია აშკარად ამოწმებს, რომ ხრუშჩოვს კოვზი ნაცარში ამ ჯერათაც ჩაუვარდება.

არის თუ არა რაიმე ძალა, რომელიც ბოლოს მოუღებს რუსული იმპერიალიზმის ამ ჯერ ჯერობით, ფსიქოლოგიურ თავდასხმას?!

ვ. სანგულია

ომის სახეობის ცვალებადობა.

დღევანდელ საზოგადოებაში, თითქმის გაბატონებული აზრია, რომ „დასავლეთ-აღმოსავლეთ“ კოალიციებ შორის სამხედრო კონფლიკტი გამანადგურებელი იქნება მსოფლიოსთვის და ორივე მხარეს უქადის დადა-მიწის პირიდან აღგვასო.

ამავე დროს ცნობილია, რომ ერთი შორის ომები არსებობდნენ ქვეყნიერების გაჩენიდან და ეს ისე მჭიდროთ არის გადაჯაჭვული, კაცობრიობის პროგრესთან, რომ შეიძლება დაუშვათ: ისენი წარმოადგენენ იმ პროცესის ზრდის ნაწილს, რომელსაც ჩვენ ცივილიზაციებს უწოდებთ. ყოველ ომს მოჰქონდა ახალი იდეა, ახალი იარაღი და იქმნებოდა, როგორც გონებრივი, ისე ტექნიკური პროგრესი. ამას თან ხდებდა ყოველი ეპოქის შეალთა რწმენა, რომ ეს იყო ადამიანის მრისხანე და გამანადგურებელი საშუალების უმაღლესი გამოვლინება და ამტკიცებდნენ, რომ თუ კაცობრიობამ ახალი ომი კვლავ დაუშვა, ამას მოჰყვება საუკუნოებში შექმნილი სულიერი და განძობრივი კულტურის სრული განადგურებაო. ხოლო ყოველი ახალი ომი მჭირმეტყველურად ღაღადებს ამ მტკიცების უნიადაგობას.

გამოირკვა, რომ ყოველ ეპოქას თან ახლდა როგორც თავდასმითი, ისე თავთაცვითი ძლიერების იარაღები, რომლებიც ერთი მეორეს იმდენად ესიტყვებიან, რომ ესეც შეიქმნა ცივილიზაციის წინ სვლის საშუალებათ და არა მისი აღგვის დედა-მიწის პირიდან.

ირკვევა, რომ ერთა ურთიერთობის საშოში იმ გვარი დვრიტაა ჩათესილიი, რომელიც შეუძლებელს ხდის მათი ერთი-მეორის დაჯაბნის თავიდან აშორებას. ხოლო ყოველ ეპოქაში ომი იმდენად იყო მრისხანე და გამანადგურებელი, რამდენთაც ქვეყნიერება კულტურული და ცივილიზირებული იყო. ამისდა მიხედვით იცვლებოდა თვით ომის სახიერებაც.

დასაწყისში ერთა შორის ომს უფრო პიროვნული ქიშპის ხასიათი ჰქონდა. ამა თუ იმ ტომის, ან ქალაქის მეთაური ეჭიშპებოდა მეორეს. საკმარისი იყო რომელიმე წესით მისი აშორება, ან დაქირავებული მკელელებით მისი მოსპება, რომ საკითხი მოპირდაპირის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. თანდათანმა განვითარებამ ომებს მასიური ხასიათი მისცა და პიროვნული ქიშპის ადგილიც ერის სასიცოცხლო ინტერესებმა დაიჭირა. პირველ მსოფლიო ომის პირველ პერიოდში (რომელზედაც კაცობრიობა ფიქრობდა, ყველაზე გამანადგურებელი და სისხლიანი იყო) თვითმფრინავები მხოლოდ დაზვერვის როლს ასრულებდნენ და ჰაერში ერთი-მეორესთან შეხვედრის დროს მოპირდაპირენი ერთმანეთს სალამს აძლევდნენ, მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომში გადამწყვეტი, გამანადგურებელი როლი ავიაციამ ითამაშა და ომიც მან მოიგო.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კაცობრიობა შიშით ადევნებდა თვალ-ყურს გაზების წარმოებას, ისევე როგორც დღეს ატომურ და რაკეტულ იარაღს, და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ახალი ომი მთელ კაცობრიობას განადგურებს. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის მხარეები დარწმუნდნენ რა, რომ ორივე მხარეს საკმაოდ ძლიერი მარაგი აქვს გაზების, არც ერთ მხარეს არ გამოუყენებია იგი. არც მომავალშია შესაძლებლობიდან გამორიცხული, რომ ატომურ იარაღსაც ოგივე ბედი ეწვიოს, თუ ორივე მხარე თანაბარის სიძლიერით მომზადებული შეხვდა ომს, რადგან ყოველ იარაღს „უკუ სროლითი“ თვისებაც აქვს.

მომავალი ომის მოსაგებად კაცობრიობა უფრო საიმედო იარაღის ძებნაშია და ჩვენის ღრმა რწმენით ეს საიმედო იარაღიც უკვე ნაპოვნია, რომელმაც რადიკალურად უნდა შესცვალოს ომის წარმოების სახეობაც.

ეს არის ეკონომიური ძალა.

ჯერ ისევ სტალინი ოცნებობდა შ. შტატების დაჩოქებას ეკონომიური კრიზისით. ხრუშჩოვი უცდის გაგვანადგუროს რუსეთის ინდუსტრიალური პროდუქციის ზრდით... ერის ეკონომიური სიძლიერე ერთად-ერთი ძალაა, რომელსაც თვითგანადგურების გარეშე უნდა მივცედ სუპრემაცია და ბრძოლის ერთად ერთი იარაღი, რომელსაც უკუ სროლითი თვისება არა აქვს.

ეკონომიურ ბრძოლაში რუსეთის იარაღი გრძელვადიანი გეგმები. საბჭოთა „დაგეგმილი ეკონომიური სისტემა“ თავისთავად ნიშნავს პიროვნული ინიციატივის გაუქმებას და შემოქმედებითი თავისუფლების დაკარგვას. საბჭოეთში ადამიანი, მისი ნიჭი და შემოქმედების უნარი არარაობამდეა დაყვანილი და მთელი მოსახლეობა გადაქცეულია ერთ უპიროვნო მასად, რომლის ერთად-ერთი უფლება მოვალეობაა ჭაპანი იქით გასწიოს, საითაც გეგმაში აღნიშნული ისარი მიუთითებს. ამავე დროს საბჭოეთში გაბატონებული პოლიციურ ტერორისტული რეჟიმი შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლებას, მოსახლეობის ცხოვრების უმდაბლესი დონით და მუშის „დაგეგმილი“ ბალი ხელფასით“ შექმნას ინდუსტრიის საკრიპაგანდო თავდასხმითი წარმოების დიდი მარაგი და მსოფლიო ბაზარზე ასევე დაბალი ფასებით გამოვიდეს.

ჩვენი (ამერიკული) ეკონომიური სისტემის საფუძველია პიროვნული ინიციატივა და შემოქმედების თავისუფლება. სახელმწიფო ადმინისტრატიული ორგანოები მის სამსახურში არიან და მიზნად ისახავენ დაიცვან ღირებულებათა შორის ყველაზე მაღალ ღირებულოვანი—პიროვნების თავისუფლება. ჩვენ ვეყრდნობით მოქალაქეთა მაღალ შეგნებას,

დავეწიოთ და გავასწროთ.

სტალინის პირმშო ხრუშჩოვმა, რუსული კომუნისტური პარტიის 21 კონგრესზე ექვსი საათის განმავლობაში ილაპარაკა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და განაცხადა: „მიმდინარე შვიდ წლედში განხორციელებული იქნება უმნი შვნელოვანესი ეკონომიური ღონისძიებები: მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი გადიდდება 40 პროცენტიდ. მცირე და საშუალო ხელფასიანი მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი გაიზრდება 270-350 მანეთიდან 500-600 მანეთამდე თვეში. განზრახულია ხელფასის შეუმცირებლად შემოღებულ იქმნას ხუთდღიანი სამუშაო კვირა და დაწესდეს კვირაში ორი დასვენების დღე. ეს იქნება ყველაზე მოკლე სამუშაო დღე და სამუშაო კვირა მთელ მსოფლიოში.

სჩანს ხრუშჩოვი თავის მონათ ქცეულ მოქალაქეზე ანგარიშობს, რომ ვერვინ ჰკადრებს საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას, თორე როგორ გაბედავდა ამისთანა უხეში ტყვილის თქმას! ხომ მთელმა მსოფლიომ იცის და მათში ხრუშჩოვის მიერ მონათ ქცეული საბჭოთა მოსახლეობის ერთმა ნაწილმაც, რომ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც „მუშების მყლეფავმა და სისხლის მსმელმა კაპიტალისტურმა“ ქვეყნებმა იზრუნეს მუშათა კეთილ-მოწყობაზე და რასაც ხრუშჩოვი თავის მუშას მომა ვლისთვის მხოლოდ პირდება, ის დასავლეთში უკვე განხორციელებულია და მუშათა კავშირები იბრძვიან ახალ-ახალი მიღწევებისათვის და გაუმჯობებებისათვის და არა „კვირაში ორდღიანი დასვენებისათვის“, რასაც ხრუშჩოვი მსოფლიოში პირველს ეძახის. თუ ხრუშჩოვს დაუჯერებთ, 1965 წლამდე საბჭოთა მუშა მოსამსახურეს საშუალო ხელფასი აიწევს 600 მანეთამდე. საზოგადოთ ცნობილია, რომ ჯამაგირის აკაკრგანობა მისი მყიდველობითი უნარიანობით ფასდება. საინტერესოა, რა მყიდველობითი უნარი აქვს ხრუშჩოვის მიერ შეპირებულ 600 მანეთს? ამისათვის გადავხედოთ „კომუნისტური სამოთხის“ ოფიციალურ ნიხრს. ოფიციალური ფასების მიხედვით, თუ რმე სამ ოთახიანი სტანდარტული სახლი ღირს 50.000 მანეთი. საწოლი ოთახის მოწყობილობა—8.000 მან. ავტო მანქანა „ვოლგა“ 40 ათასი მან. ქალის მაჯის საათი „ზარია“—500 მან. მამაკაცის მაჯის საათი ოქროს კორპუსით—1.300 მან. მამაკაცის ველოსიპედი—667 მან. ხელის საკერავი მანქანა—583 მან. ქალის ფეხსაცმელი—183 მან. და სხ., რამდენი ხანი უნდა იმუშაოს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში მუშამ, რომ პირველი მოთხოვნილების საგნებით უზრუნველყოს ოჯახი, მაშინაც კი თუ ხრუშჩოვმა მოსახლეობის პირობა შეუსრულა და 1965 წლამდე მას 600 მანეთამდე გადიდებს?

ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებაა თავისი სული შთაბეჭოს ყოველ შემოქმედებას და მისი აკტიური მონაწილე-მომქმედი შეიქმნეს. მსოფლიო ბაზარზე დაპირისპირებულ საბჭოთა „დაგეგმილ ეკონომიის პრინციპის“ და ჩვენ თავისუფალ შემოქმედების პრინციპ შორის ადამიანი ბუნებრივად, შინაგანი ინსტინკტით, მხარის დამჭერია თავისუფალი შემოქმედების, რადგან თავისუფლება ადამიანის თანდაყოლილი ზნე და ბუნებაა. ამისათვის სა ჭიროა მხოლოდ ამ ორი პრინციპის რადიკალური განსხვავების ნათელი გამომეფენება, რომ დაგეგმილი ეკონომიკა ადამიანს სპობს და ამონებს, ხოლო ჩვენი კერძო ინიციატივა მას ახალ-ახალიმიღწევებისათვის აქეზებს. ამ გვარ გამოვლინებაში, ეჭვი არ არის, საბჭოთა დაგეგმილი ეკონომიკის პრინციპს ადვილად დასძლევს და დაამარცხებს კერძო ინიციატივის თავისუფალი შემოქმედების პრინციპი, რაც თავის თავად საწინდარია, იმ არეში, საზოგადოთ კომუნისტური თავდასხმის მოგერების და დამარცხების.

რაც ძლიერად და ენერგიულად იქნება თავისუფალი კაცობრიობის მიერ ომის ეს ახალი იარაღი გამოყენებული, იმდენად მალე დადგება კომუნიზმის აღსასრული.

გ. ზალდასტანიშვილი.

ქართული ემიგრაცია ანტიბოლშევიკურ ბრძოლებში.

(წერილი მეორე.)

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, გამაერთიანებელ კოალიციის სარდლობასთან (კერძოდ, ამერიკის სამხედრო წარმომადგენლობასთან) ლაპარაკის დროს, დაუფარავთ და ურეზერვოდ განვაცხადეთ ჩვენი მოქმედება და მისი მიზანი მეორე მსოფლიო ომის დროს და აქედან გამომდინარე ჩვენი დასკვნებიც წარუდგინეთ.

ქართული ემიგრაციის მდგომარეობის განმარტების დროს ჩვენ განვაცხადეთ, რომ ომის განმავლობაში ქართული ემიგრაცია ძლიერ დაზარალდა. გადარჩენილი ნაწილი განიყოფება შემდეგნაირათ: დასავლეთ გერმანიის სამ ზონაში და ავსტრიაში იმყოფება დაახლოებით 300-400 ქართველი. შედარებით დიდი ჯგუფი, რომელსაც თავს უყრის ქართული სა თვისტომო, ცხოვრობს მიუნხენში. იტალიაში იმყოფება დაახლოებით 200-300 ქართველი. საფრანგეთში, სადაც ძველათ ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაციის უმრავლესობა ცხოვრობდა, ეხლა უნდა ვივარაუდოთ, რომ იქ 400-500 ქართველია, რომელთა შორის საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მთავრობა და დამფუძნებელი კრების ზოგიერთი წევრია. ამის გარდა ქართველები იმყოფებიან შვეიცარიაში, ბელგიაში, ისპანეთში, შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, ესპანეთში და სხ.. შ. შტატების კოლონიის საქციელი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ისენი ვერ ერკვევიან სამშობლოში შექმნილ მდგომარეობაში და არავითარი წარმოდგენა არა აქვთ მეორე ომის პერიოდში ქართველების მოღვაწეობაზე

ქართული ემიგრაცია შესდგება ე. წ. ძველი და ახალი ემიგრაციისაგან. ძველებათ იგულისხმება ის ნაწილი, რომელმაც სამშობლო მეორე მსოფლიო ომამდე დატოვა, როგორც ახალი იგულისხმება, რომელიც სამშობლოს მეორე მსოფლიო ომის დროს მოსწყდა. ძველ ემიგრაციას ზურგს ჰკიდია მეოთხედი საუკუნის მანძილზე გაწეული მძიმე შრომა და ანტიბოლშევიკური ბრძოლის დიდი გამოცდილება ძველ ემიგრაციას ამ ხნის განმავლობაში არც ერთ გარემოებაში არ შეუწყვეტია ბრძოლა თავის სამშობლოს გასაზთავისუფლებლად ძალიან შრავალი მაგალითებია მათის მხრივ თვით 2მიძღვნილობის და თავგანწირვის. ახალმა ემიგრანტებმა თავის ემიგრანტული ცხოვრება დაიწყეს განსაკუთრებულათ მძიმე პირობებში ჯერ კიდევ ვერ შეგუებიან უცხოეთში. ცხოვრებას. ახალმა ემიგრაციამ მიიღო საბჭოთა აღზრდა და მათ იქვე მიიღეს ცხოვრების მძიმე გამოცდილება. მათი უპირატესობაა, რომ მათ ზედმიწევნით იციან რკინის ფარდის იქითა მხარის ცხხოვრება.

ძველი და ახალი ემიგრაციის ყოველგვარი გაყოფა-განაწილება უაზრო და ეროვნული საქმიანობისათვის დამაზარალებელია, რადგან არა მარტო ამცირებს ეს ჩვენს რიცხობრიობას არამედ ეს ორი ნაწილი ერთი მეორეს აკვლებს და ქმნის ერთ მთლიან შემომქმედ ერთეულს. ქართული ემიგრაცია არის ეროვნულ-პოლიტიკური და იგი შეიცავს ყველა კლასის და ყოველი პოლიტიკურ პარტის წარმომადგენლობას, რომლებმაც საშშობლო დასტოვეს უცხო ძალის ოკუპაციის და მასთან შეურიგებლობის გამო. ემიგრაციის სხვა და სხვა დასებათ დანაწილების მიუხედავათ, მის ყოველ ნაწილს აერთიანებს საბჭოებთან შეურიგებელი ბრძოლა და საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრიობის იდეა. ქართული ემიგრაციის დიდ უმრავლესობას ეს წარმოდგენილი აქვს კავკასიის კონფედერაციის ფარგლებში. ცხადია, ამის გადაწყვეტა ეკუთვნის თავისუფალ ქართველ ერს, როდესაც მას ამის საშუალება ექნება.

ქართული ემიგრაცია მიყრდნობილია საკუთარ ძალებს, როგორც ფაზიკურ ინტელექტუალურ, ისე ფინანსიურად. მას არავისგან არავითარი, მორალურიც კი, დახმარება არა აქვს. ამიტომ მისი მდგომარეობა მეტად რთული და მძიმეა. დაახლოვებით ასეთივე სურათია სხვა კავკასიერ ემიგრაციებში, იმ განსხვავებით, რომ სომხებს ნაკლები მხსეერპლი ;ქონდათ გაღებული ამ ომის დროს და ეხლა მათ მნი შვნელოვან დახმარებას უწევს ამერიკაში არსებული მრავალრიცხოვანი კოლონია. აზერბეიჯანელები და ჩრდილო კავკასიელები, საფიქრებელია, რომ რლიგიური ერთობის გამო მიიღებენ ემიგრაციის შესაძლებლობას ოსმალეთში. მძიმე მდგომარეობამ ოდნავთაც ვერ შეასუსტა კავკასიელთა შორის მეგობრობა და საერთო ინტერესებით განმსჭვალულნი, კვლავ მჭიდრო კავშირში არიან და ერთობილად მოქმედობენ.

ქართული ემიგრაციის მნიშვნელობა და ღირებულება.

ქართული ემიგრაციის არსებობის დიდ ღირებულოვანებას დასტურებს თვით ის ფაკტ თუ როიდენ ყურადღებას აქცევს მას კრემლი და რა საშუალებებს ხმარობს მის დასარღვევად. მაგ. ომის დამთავრებისთანავე პარიზის საბჭოთა საელჩოში რამოდენიმე ქართველი დიპლომატი იქმნა დანიშნული, რაც ძველად არ მომხდარა, და თუ მომხდარა ეს არავის არ შეუტყვია. ეს ფაკტი მჭირმეტყველურად ღაღადებს საბჭოეთის განაფიცრს ემიგრაციაზე.

1945 წელში, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველების მდგომარეობა საკალალო იყო. ამ დროს ბოლშევიკებს დიდი გავლენა ჰქონდათ ფრანგულ ხელისუფლებაზე, განსაკუთრებით მის შინაგან საქმეთა სამინისტროზე და ქართული ემიგრაციის დიდი ნაწილი „კოლაბორაციის“ მოტივით, დაპატიმრებულ იქმნა და მათი ქონება ჩამორთმეული, ან დიდი ხნის განმავლობაში მის, გამოყენების საშუალებას მოკლებული. აქაც ანბანთა საელჩოს ბატონები გამოვიდნენ დაჯაბნებულ ემიგრანტების ოპეკაუნებად და დიდის წარმატებით, რადგან იმ დროს საფრანგეთში საბჭოებს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა ჰქონდათ ეს გარემოება ბოლშევიკებისათვის ერთგვარი საგარამაზო ბარათი შეიქმნა ქართულ ემიგრაციასთან მისასვლელად.

იმ დროინდელი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ხასიათდება დასავლეთელების ფსოლუტური კომპრომისებით საბჭოეთის მიმართ. ქართული ემიგრაციის მდგომარეობა უნუგეშოდ იყურებოდა. ქართული საკითხი, თუ არა სავსებით მოხსნილად, ხანგრძლივად გადადებულად მაინც მოსჩანდა. ამ გარემოებამ გაუადვილა ბოლშევიკებს და პარიზის მათ მოხელეებს, შეექმნად ქართულ ემიგრაციაში ვიწრო წრე, რომელმაც მათი საპროპაგანდო ბეჭედითი ორგანოც კი გამოსცა ემიგრაციის შუა გულში. ბოლშევიკები ამ წრის საშუალებით ცდილობდნენ გაგლეჯნა მოეტდი-

უზარდა ხელფასი? ამ უფულობას და უსახსრობას თუ მკითხველი დაამატებს პირველი მოთხოვნილების საგნების ნაკლულოვანებას, მაშინ აღვილად აიხსნება ის სიხარბე და გაკვირვება, რომელსაც საბჭოთა მოგზაურები იჩენენ უცხოეთის სავსე ბაზარს რომ ნახულობენ

— გაზ. „კომუნისტის" 24 დეკემბრის ნომერი მოგვითხრობს, რომ „სოფ. ჩინადირებში მაღა ზიის გამგის განცხადებით, ყოველთვიურად გადაჰარბებით სრულდება საქონელ ბრუნვის გეგმები, მაგრამ მარტო ეს ხომ არა კმარა? მა ღაზიაში არ მოიპოვება სეზონისათვის საჭირო საქონელი, როგორიც არის ობილი კურტკები, შარვლები, ჩექმები, ქუდები, ხელთათმანები... არის შემთხვევები, როცა საჭირო საქონელი მომხმარებლამდე ვერ აღწევს. მიმდინარე წლის საქტემბერში მაღაზიას რაიკავშირის მთავარ საწყობში არსებული საბუთით მიღებული აქვს 10 ცალი ხელის საკერავი მანქანა, სინამდვილეში მაღაზიამ მხოლოდ 2 მანქანა მიიღო. დანარჩენი სად წავიდა არავინ იცის. ასე მოხდა სოფ. ოძისშიც. (მაღაზიის გამგე თ. ვარდუაშვილი) აქ მიმდინარე წლის აგვისტოში ფაქტურით მიღებულია 10 საკერავი მანქანა. სინამდვილეში ეს მანქანები მომხმარებლებს კი არა, თითონ ნოქარსაც არ უნახავს. მან მხოლოდ მანქანების ღირებულება მიიღო. მოვიდა რაიკავშირის ეგზომის განყოფილების გამგე ნ. დათუაშვილი და მითხრა: დუშეთში სა კერავი მანქანები პასუხისმგებელმა პირებმა შეიძინეს, უხერხულია საწყობიდან რაიმეს გა ყიდვა და ამიტომ იძულებულნი ვართ აღნიშნული მანქანები თქვენ დაგაწიროთ,—აცხადებს ვარდუაშვილი. ამ ზაფხულს სოფ. ქვეშეთში, მაღაზიის ახალი შენობა ააგეს. ჯერ ერთი იგი პირუტყვის სადგომს უფრო ჰგავს, ვიდრე კულტურულ საეკლესიო დაწესებულებას, მეორეც, შენობა ისეთი ნესტიანი გამოდგა, რომ იძულებული გახდნენ საქონელი სხვაგან გადაეტანათ. ეს მაშინ, როცა შენობის აგებაზე კარგა მზრდელი თანხა დაიხარჯა. ბევრ მაღაზიაში არ ოგრძნობა ვაჭრობის კულტურა ყურადღება არ ექცევა საქონლის მიმზიდველათ ჩვენებას, ვიტრინების გაფორმებას. შეხვალ ზოგ მაღაზიაში და სალამის მაგივრად ნო ქარი ისე შემოგხედავს, გეგონება რაიმე დაუშავეო. იყიდი რამეს და გასახვევ ქაღალდს ვერ იშოვნი. ჩვენში ახალ ტანსაცმელს რომ შეიძენენ, ახლობლები ყოველთვის ეტყვიან: მშვიდობაში მოგახმაროსო. ზოგ ნოქარს ასეთ რამეს ოოგორ ათქმევინებ! ამას მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა როდი აქვს, მაგრამ ტკბილი სიტყვა კაცს ყოველთვის ესიამოვნება. მაღაზიაში იშვიათად ნახავთ შეკვეთის წიგნს. არის შემთხვევები, როცა შორეული სოფლების მაღაზიებში არა აქვთ ნავთი, მარილი საპონი, შაქარი და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნები".

არ არსებობს არც ერთი წარმოება, არც ერთი დაწესებულება, არც ერთი ადგილი, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ფაკტებს არ წაეწყდე. დღ და მიწის არც ერთ კუთხეში არ მოიპოვება პი როვნებების ერთიმეორისადმი ასეთი მოტყუება, უნდობლობა, ერთიმეორის ცარცვა და დაუნდობლობა, როგორც „ამხანაგობის და მე გობრობის სამოთხეში". ამავე დროს არ არის მსოფლიოში არც ერთი ჩამორჩენილი და ფეო დალური ქვეყანა, სადაც ისე უწესოთ და უსწორ-მასწოროდ იყოს განაწილებული ცხოვრე ბის წყარო, როგორც საბჭოთა კავშირში. ერთი მეორის მოტყუება და თვალმაქცობა ხომ რეჟიმის და მისი ბიუროკრატიის არსებობის და საყრდენია. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველმა დელეგატმა იცის თუ რა ეკონომიურ სიდუხჭირეს განიცდის საბჭოთა მოქალაქე, მაინც კონგრესმა „მწყობრად" ჩაიარა და „ეკონომიური გაუთჯობებებისათვის" ნიკიტას ხოტბა შეასხეს და კონგრესზე გამოსულ ორატორებმა დაამოწმეს, რომ „თუ ზოგიერთ დარგში ჯერ კიდევ არ გადაუსწვრიათ ამერიკისათვის სრული იმედია, რომ 1965 წლისთვის ყველა დარგში ეს ფაკტად იქცევა". გაზ. „კომუნისტის" სამი თებერვლის ნომერი ვვატყობინებს, რომ ერთ დელეგატს განუცხადებია: „ჩვენ შეიდსა რთულიან რაკეტას (მხედველობაშია შვიდწლედი. დ. ა.) შედარებით ნაკლები მანძილის და ძლევა, ნაკლები მანძილის გავლა აქვს დაკისრებული. იგი მხოლოდ ამერიკას უნდა გასცდეს, მან მხოლოდ ამერიკას უნდა გაუსწროს. დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს ჩვენი ახალი რაკეტაც თავის ამოცანას ღირსეულად შეასრულებს". პოლტავის დელეგატი ბოიკო აცხადებს, რომ „მეურნეობის ჩვენმა სოციალისტურმა სისტემამ შექმნა ზრდის ისეთი შესაძლებლობანი, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატების არც ერთ ფერმერს არც კი დაესიზმრება"-ო, აზერბაიჯანის დელეგატი მუსტაფაევი აცხადებს, რომ „უეჭველია უმოკლეს ისტორიულ ვადაში საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვა, როგორც წარმოების აბსოლუტური მოცულობით, ისე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებით და ხალხის ცხოვრების მსოფლიოში ყველაზე მაღალი დონე ექნება". კორეჩნეკი კი ადასტურებს, რომ „კომუნიზმის იდეები ხდება გაბატონებული იდეები მთელ მსოფლიოში, მათთვის არ არსებობს საზღვრები და შეაკავებელი მიჯნები, ისენი იპყრობენ ხალხებს ცხოველმყოფელი ძალითა და სიმართლიდ. კომუნიზმი კაცობრიობის გაზაფხულია და უძლურნი არიან იმპერიალიზმის ლაქიები, რომ შეაჩერონ ისტორიის მსვლელობა, კომუნიზმის იდეები გაზაფხულის უხვ მდინარედ მოედება მსოფლიოს ყველა ქვეყანასაო". „მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები—აღნიშნავს იგნატოვი, უკანასკნელ წლებში, ხორცს, რძის და კარაქის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მეცრდება, ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა სწრაფი ტემპით ვითარდება და უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოების განუხრელ ზრდას. შორს არ არის ის დრო, როდესაც საბჭოთა ადამიანს სუფრაზე ექნება სავსებით საკმაო ხორცი, რძე, კარაქი. შაქარი, ბოსტნეული, ხილი, ყურძენი და სხ.."

ეი თურმე რა ყოფილა საბჭოთის ოცნება და როგორ გადასწრეს ამერიკას! ოცნებობენ იმ დროზე, როცა საბჭოთა მოქალაქეს სუფრაზე საკმარისად ექნება კარაქი, შაქარი, რძე და სხ., და რადგან დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მოსახლეობას საკმარისზე მეტი რძე კარაქი, შაქარი და ყოველი მოთხოვნილების სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილნი არიან, ამიტომ მათი მთავრობები „ხალხის მტანჯველი და მყვლეფელია" და ეს ნიშანია, რომ „კაპიტალიზმმა მოჭამა თავისი დრო და კომუნიზმი კაცობრიობის გაზაფხულია"!

დ. აბულედიანი.

კავკასიის პოლიტიკური აზროვნების მცდარი გზა.

„ქართული აზრი" მრავალჯერ შეეხო კავკასიის პრობლემას და ჩვენმა მკითხველმა იცის ამ გაზეთის რედაქციის და მის გარშემო დარაზმულ ქართველების უმრავლესობის აზრი და პოზიცია ამ საკითხის გამო.

ჩვენი მკითხველისათვის კარგად ცნობილი წინა მდებარე წერილის ავტორი არ იზიარებს ჩვენს წრეში გაბატონებულ აზრს—კავკასიის კონფედერაციაზე და გვთხოვს ეს მისი მოსაზრებები მეგობრებში „სადისკუსიოთ" დაბეჭდოთ.

რედაქცია

საშიშია განუსჯელად და განუკითხავად ათვისებული და აღიარებული იდეები. ამისთანა შემთხვევებში ხშირად შემცდარნი არიან მისი ამღიარებელნი. ხოლო მიიკუთვნებენ რა შეუმცდარობის და უცოდველობის ნიშნებს, სხვებსაც ხელს უშლიან სწორად შეხედონ საგნებს. განსაკუთრებით საშიშია წინასწარ აღიარება და ათვისება ამა თუ იმ იდეის პოლიტიკურ სფეროში; რადგან იდეების ამგვარი ათვისება აზარალებს ერსა და სახელმწიფოს და მეორე. რომ, ასეთ შემთხვევებში, მისი მომხრეები იმსჯელებენ უზომო ფანატიზმით რასაც, ნორმალურად, სამწუხარო შედეგები მოსდევს ხოლმე.

ასეთ განუკითხავად და განუსჯელად ათვისებული იდეით ვხელმძღვანელობთ, როდესაც ვთვალისწინებთ მომავალი კავკასიის პოლიტიკას.

ჩვენ ვთვლით, რომ კონფედერაციაა საკითხის სწორი და შეუმცდარი გადაჭრა. ამავე დროს ჩვენ ვიმსჯელებთ ისეთი მოუთმენლობით და აუტანლობით მათ მიმართ, რომლებიც გაბედავენ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას, რომ სრულიად განუკითხავად და საკითხის შეუსწავლელად, ვრიცხავთ მათ „ხალხის მტრად და მეკობრეთ".

ეჭვი არის უფრო სასარგებლო იქნებოდა ვცადოთ საფუძველიანი გარკვევა კავკასიის კონფედერაციის იდეის და წინასწარ გავითვალისწინოთ, თუ რას მიიცემს ის კავკასიის ერებს. საჭიროა ამ შესაძლებლობაზე ფიქრიც, რომ კავკასიის პრობლემის გადასაწყვეტად შეიძლება სხვა, უფრო სწორი გზაც აღმოჩნდეს. ეს იქ ნებოდა უფრო გონიერი, ვიდრე ბრმათ დაევიდოთ იდეას, რომლის სერიოზული ანალიზიც კი ზედმეტათ მიგვაჩნია, შეიძლება იმიტომ რომ წინასწარ ვიცით, რომ სერიოზულ ანალიზს და კრიტიკას ის ვერ უძლებს.

საჭიროა გარკვეულად უპასუხოთ ორ საკითხს: 1. არის თუ არა კავკასიის კონფედერაცია პრაკტიკულად შესაძლებელი და 2. იქნება თუ არა სასარგებლო კავკასიის ხალხებისათვის?

ჩვენ ძალიან გვიყვარს შეეიცარიის მაგალითის მოყვანა და მტკიცება, რომ ის რაც იქ შესაძლებელი იყო, შესაძლებელი იქნება კავკასიაშიც. ამისთანა მსჯელობა რომ დაშორებულია ისტორიულ სინამდვილეს ამას ანგარიშს აღარ უწევთ. შვეიცარიული სახელმწიფო შემდეგნაირათ წარმოიშვა: ერთნაირად გერმანული ჯიშის მოსახლეობის რამოდენიმე პროვინციამ მოინდომა ავსტრიისაგან ჩამოშორება. ხანგრძლივი და შეუფერეკელი ბრძოლითი მათ ეს მოახერხეს და შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო. შემდეგში ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეუერთდა რამოდენიმე ოლქი ფრანგული მოსახლეობით და უფრო გვიან, როდესაც გერმანულ-ფრანგული მოსახლეობის კონსოლიდაცია დასრულდა, მას შეუერთდა იტალიური მოსახლეობის პროვინციები და შეიქმნა ის, რასაც ამ ჟამად ჩვენ ვეძახთ შეეიცარიას. როდესაც ჩვენ შეეიცარიის მაგალითს ვიღებულობთ, მხედველობიდან უშვებთ, რომ იქ ფედერალური სახელმწიფოს შექმნას საუკუნეები დასჭირდა.

თუ შეეიცარიას ასეთი რთული პროცედურა და გრძელი დრო დასჭირდა, კავკასიის კონფედერაციისათვის ჩვენ რამოდენიმე წელიც არ გვნდა გავითვალისწინოთ და მის მომზრეთა აზრით, კავკასიის კონფედერაციამ მოქმედება უნდა დაიწყოს კავკასიის განთავისუფლების პირველი დღიდანვე. ხან უფრო ჩქარობენ და ის უნდათ აამოქმედონ ეხლავე,განმანთავისუფლებელი ბრძოლების პროცესში.

არავინ არ უარყოფს, რომ ამ მიმართულებით მოსამზადებელი მუშაობის წარმოება შეიძლება და გასაკეთებელიც ძალიან ბევრია, მა

ნათ ემიგრაციაა ფართო წრეებზე ... უცხოეთში მყოფ ქართულ მთავრობაზე. ... **ტონებს,** ემიგრაციის მოსაჯადოებლად შე... გი არგუმენტები ჰქონდათ: ძლიერ და დაუმარცხებელ საბჭოთა კავშირს უნდა დაეყრდნოს საქართველო. ხალხის განვითარებასთან და შინაგან აღმშენებლობასთან ერთად საბჭოელები ცდილობენ აღადგინონ საქართველოს ისტორიული საზღვრები და ოსმალეთისგან ძალაცებული ქართული მიწა-წყალი დაიბრუნონ. ამის შედეგ ემიგრანტული თბილისის გაგრძელება უსაფუძვლო დაბარალებს ჩვენს ეროვნულ მიზნებს. საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის ხელს. უშლის ქართული ემიგრაციის არსებობა. მაგალითისათვის მოჰყავდათ. თითქო ოსმალეთის დიპლომატთან განაცხ... რომ საქართველოს ეროვნული მთავრობა იქმოდეს საცრანგეთში და მხოლოდ მასა აქვს უფლება ქართველი ერის სახელით ილაპარაკოს და რაიმე მოთხოვნილება წარმოადგინოსო. მეორე არგუმენტი, რომლითაც ქართული ემიგრაციის ბატეხა მოინდომეს ის იყო, რომ მარშალმა ეუკოვმა მოით ხოვა ქართველების გადასახლება და რუსების ჩასახლება ოსმალეთთან მოსაზღვრე ოლქებში, რათა ოსმალეთ-ოსმ შემოხვევაში საიმედო ზურგი ჰქონდეთ. ეუკოვის ამ გეგმის მიხედვით აყრილი უნდა ყოფილიყო 700 ათასიდან ერთ მილიონ ქართველამდე და მათ ადგილზე დაესახლებინათ რუსები. ხოლო თუ თბილისიის დასასრულებთ და თქვენი დაბრუნებით მოგვცემთ მოსკოვთან ლოიალობის მაგალითს, რაც არა პირდაპირ იქნება პატრიოტიზმის უაღრესი გამოვლინება, მაშინ მდგომარეობა გამოიცვლება და ქართველ კომუნისტებს გაგვიადვილდება ეუკოვის გეგმის წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ საზღვრებში აღდგენაო. ამის გარდა პირდებოდნენ, რომ ის ლეგიონერები, რომლებიც ომის განმავლობაში იბრძოდნენ საბჭოთის წინააღმდეგ და მათ ხელთ ჩაუვარდათ, რომლებსაც სხვა შემთხვევაში დასჯა არ ასცდებათ, ემიგრაციის შემრიგებელი პოზიციით მათ ეშველებათ და სასჯელი შეუმსუბუქდებათ. საფიქრებელია, რომ ეს „დაწოლა" იქნებოდა მთავარი მიზეზი, რომ ემიგრაციაში მყოფ ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ, ეჭვ მიუტანელმა მცხოვანმა მოღვაწემ და მებრძოლმა, კომპრომისული დეკლარაცია გამოსცა და ემიგრაციის „აპოლიტიკური" ნაწილს სახლში დაბრუნება ურჩია. მიუხედავარ იმისა, რომ ეს მხოლოდ ნაწილობრივი კომპრომისი იყო, მაინც ის ემიგრაციის დიდმა უმრავლესობამ არ გაიზიარა და მას მკაცრი კრიტიკედ შეხვდა.

უკან დაბრუნება მოინდომა ქართველების სულ მცირე ჯგუფმა, მათ შორის მოხუცებმა, რომელთა სურვილიც იყო „მშობლიურ მიწაზე სიკვდილი" და ახალთაობიდან ის რამოდენიმე პიროვნება, რომლებსაც საფრანგეთში ვერ მოაწყეს პირადი ცხოვრება და ის ორიოდე ქართველი, რომლებიც, როგორც შემდეგში გამოირკვა, დიდი ხნიდან იყვნენ ბოლშევიკების საიდუმლო სამსახურში.

გერმანიაში მყოფი ქართული ემიგრაციაც არ დარჩენილა საბჭოთა ყურადღების გარეშე. „ენკავედემ" მოახერხა ბერლინში დარჩენილი ზოგიერთი ქართველის ხელში ჩაგდება. ერთი იმათთაგანი 1946წ. „ეკავედეს" დავალებით მოვიდა მიუნხენში. მისი დავალება იყო იმ აზრის განმტკიცება, რომ „საბჭოთა რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს და მოიითხოვს ოსმალეთისაგან მისი ძველი ტერიტორიის დაბრუნებას ქართველებს დიდი გავლენა აქვთ რუსული პოლიტიკის ხელმძღვანელობაზე, რაც ქართველებს მხოლოდ უნდა გვახარებდეს. საბჭოთმა გეაპატია ჩვენს მიერ ომის პერიოდში ჩადენილი დანაშაული და ამის ვამი აღარ ვიდეენებით, რადგან ეს გამომდინარე იყო პატიოსნური პატრიოტიზმიდან, თუმცა ცუდათ გაგებულიდან. მომავალ კონფლიკტში ქართული ემიგრაცია არ უნდა გამოვიდეს დასავლეთის მხარეზე, რადგან დასავლეთი საქართველოს ვერაფერს მისცემს, ხოლო საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე ოსმალეთის დაკმაყოფილების საშიშრობა კი არსებობს.

გარდა ამისა მომავალი კონფლიკტი დასრულდება საბჭოთა კავშირის გამარჯვებით და ქართული ემიგრაციის დასავლეთის მხარეზე გამოსვლა ჩაითვლება სამშობლოს ღალატად. ამ ქართველმა მოცეკულმა ორჯერ იმოგზაურა მიუნხენში, მაგრამ ორივეჯერ მოერიდა ფართო წრეების ნახვას და მხოლოდ რამოდენიმე პირრან შეხვედრით დაკმაყოფილდა და ისე გაბარუნდა ბავარიიდან ბერლინში.

ის გარეშეთა, რომ რიცხობრივად პატარა და მატერიალური სივიწროვის გამო მოქმედების გაშლის შესაძლებლობას მოკლებულ ქართულ ემიგრაციას ამდენ ყურადღებას აქცევს კრემლი და არავითარ საშუალებას არ ერიდება მის დასაშლელად და შესავიწროებლად, ბევრი რამის მთქმელია. მართლაც, ვინც კი თვალს გადაავლებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ემიგრაციის ისტორიას, არ შეიძლება თვალში არ ეცეს ის დაუცხრომელი შრომა და ბრძოლა, რომელსაც ქართული ემიგრაცია მოსკოვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ აწარმოებდა და აწარმოებს მთელი ორმოცი წლის მანძილზე. იშვიათია ემიგრაცია, რომელიც ისე ორგანიულად იყოს შედუღებული შშობლიურ ერთან, როგორც ქართული ემიგრაცია. იშვიათია ემიგრაცია, რომელსაც ისეთი მჭიდრო კავშირი ჰქონდეს შშობლიურ ერთან, როგორც ქართული ემიგრაცია. ქართული ემიგრაცია ცხოვრობდა არა განყენებულ—სამშობლოს მარადიულობის იდეით, არამედ ის თავის მოქმედებას შუდმივ უფარდებდა იქ, სამშობლოში გაბატონებულ სულისკვეთებას და ერის მამიძრავებელ ინტერესებს თავის წიაღშიც აბატონებდა ომის წინ, ომის დროს და ომის შემდეგაც ქართული ემიგრაცია ყოველგვარ საშუალებას იყენებდა, რათა მშობლიურ ერს დაკავშირებოდა და მის განწყობილებას არ დაშორებოდა და მისი სულიერ ფსიქოლოგიური განცდებით ეცხოვრა.

ქართველი ერიც, იდეოლოგიურად არ დაშორებია თავის ემიგრაციას და ის თავის გარდაუვალ მისწრაფების— ეროვნულ სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის ბრძოლის მებაირიახტრედ მიიჩნია. ამას მჭეროვნებელ ფაქტად ... ეროვნულ ... ...

გრამ, გადაეხედოთ ეხლა რა სურათს იძლევა სინამდვილე და გაეყვეთ მშრალ ლოდიკას. კონფედერაციის მომხრენი ფიქრობენ, რომ მომავალ კონფედერატიულ სახელმწიფოს მყარი საფუძველი უკვე ჩაგდებულია, რადგან ეს ორგანტული პოლიტიკური წრეების მიერ ამ გვარი დოკუმენტუკვე ხელმოწერილია. ჩვენ ეს ოპტიმიზმი არ მიგვაჩნია გამართლებულად, რადგან, სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არის მრავალი დოკუმენტი, რომელიც აშკარათ მოწმობს, რომ ეს მხოლოდ კონფედერაციის იდეის პროპაგანდისტების ილუზიაა. ჩვენ მრავალი შემთხვევები ვიცით, როცა სინამდვილემ დამსხვრია უფრო მყარი დოკუმენტები, ვიდრე ემგრანტული ხელის მოწერა და შეთანხმება.

კონფედერაციის მომხრეებს ძალიან უყვართ, მოგონება და დამყარება იმ მოვლენებზე, რომლებიც კავკასიაში სხვა და სხვა შემთხვევებში წარმოშობილა და თითქოს მათი იდეის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მაგ. აღნიშნავენ, რომ რომელიღაც ადგილობრივ მუსულმანურ აჯანყებას თურმე ხელმძღვანელობდა სომხის მღვდელი. ამისთანა შემთხვევებში, რასაკვირველია, მეღვაწდება მოსახლეობის სოლიდარობა რაც ბევრი რამის მთქმელია და სწორედ იმიტომ, რომ ეს მატად იშვიათი მოვლენაა და არაფრის დამამტკიცებელი, რომელზეც დაყრდნობა და მასზე მომავალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დაშენება სწორედ პოლიტიკური სიბეცე იქნება, მეტი რომ არა ეთქვაღ!

ჩვენი მომავლისათვის პირველ ხარისხოვან ღირებულების ფაკტორად მხოლოდ ის შეიძლებოდა მიგვეჩნია, თუ ყოველი კავკასიელი შეიმცნობდა, რომ თვით კავკასია არის მაღალ ღირებულოვანი ერთეული და მისი ბედის გადასაწყვეტად მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ მისი სასიცოცხლო ინტერესები. არა ნაკლებ ფაკტორს წარმოადგენს კავკასიის სხვა და სხვა ერების ურთიერთ სოლიდარობა, ერთი მეორის ინტერესების გაგება და მისი პატივისცემა.

რაც შეეხება პირველ ფაკტორს, თუ გავიხსენებთ ყოველივეს, რასაც სწერენ ზოგი ერთი დიდი მასშტაბის კავკასიელი მოღვაწეები, თითქმის ყველა ეროვნებებიდან, უნებურად მივდიოართ დასკვნამდე, რომ ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და კონფედერაციის სასარგებლოდ მოვლენები ვერ მეტყველობენ.

ძნელი სათქმელია თუ რამდენად მაღალია კავკასიის ერთა შორის სოლიდარობა. ყოველშე მთხვევაში, ჩვენ, ქართველებს ყალბი წარმოდგენა გვაქვს, თითქოს კავკასიელ მეზობლებს დიდი სიმპატიები აქვთ ჩვენი და ანგარიშს არ უწევთ, რომ დიდი ხანია გასრულდა ბაგრატოვანთა ეპოქა..... თუმცა არც მაშინ იყვნენ ჩვენი კავკასიელი მეზობლები ყოველთვის ჩვენთან სოლიდარული და ლოიალური.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი აზრის გამმსახველია პრესა. ცხადია, მხედველობაში ვერ მივიღებთ დღევანდელი კავკასიის პრესას, რომელიც ბოლშევიზმის მკაცრი კონტროლის ქვეშ არის. სამაგიეროთ ჩვენ ხელთ არის ემიგრაციის თავისუფალი პრესა. ამის კითხვის დროს, ხანდისხან გაკვირვებული რჩება კაცი, თუ როგორნი სიყალბით არის გამსჭვალული ქართველებისა და საქართველოს მიმართ და როგორ ამახინჯებენ ფაკტებს, **რა თა ჩვენი შეურაცმყოფელი რამ დაასაბუთონ** ჩვენი მეზობელი კავკასიელების საყვარელი თემაა—თუ საქართველოშ 18-19 საუკუნის მიჯნაზე როგორ შემოუშვა რუსეთი კაკკასიაში. ამავე დროს ივიწყებენ და მალავენ იმ ფაკტს, თუ ჩვენი სამხრეთის მეზობლები და მათთან ერთად ზოგიერთი კავკასიელი ტომები, რა როლს თამაშობდნენ და როგორ აკიზრავებდნენ საქართველოს, რამაც ჩვენი წინაპრები აიძულა საგარეო დახმარება მოეძებნად. საქართველოზე თავდასხმის ავტორები სრულიად არაფერს არ ამბობენ, თუ 1920 წელს ერთმა კავკასიელმა რესპუბლიკამ როგორ შემოუშვა კავკასიაში რუსული ბოლშევიკური ჯარი, მით უმეტეს, რომ ამ დროს ისენი ხელმძღვანელობდნენ უცხო და არა კავკასიური სახელმწიფო ინტერესებით და არა როგორც ძველათ საქართველომ, საკუთარი თავდაცვის და თვით გადარჩენის მაღალი მოსაზრებებით.

როგორ უპასუხეს ამ თავდასხმებს ქართული ემიგრაცია? ჩვეულებრივ სიჩუმით. ხოლო ხანდისხან მობოდიშებული ახსნა განმარტებით. თუ ვფიქრობთ, რომ ამ საქციელით ვემსხურებით კავკასიის გაერთიანების იდეას, ეს უაღრესათ შემცდარია. ამით მხოლოდ ვთამამებთ კავკასიელებში ანტიქართულ პროპაგანდას და ვკარგავთ ისტორიულად დამსახურებულ პრესტიჟის ნარჩომებს, რომელიც აქა იქ ჯერ კიდე შემონახულია.

ახალი რეპრესიები.

პასტერნაკის განკიცხვას და დასჯას, თავისებური გამოხმაურება ჰქონდა რუსეთის სატელიტების ყოველ ქვეყანაში. კრემლმა ეს შემთხვევა გამოიყენა, რათა ერთხელ კიდევ მოე გონებინა თავის დამონებულ მწერლებისათვის, რომ სტალინის ეპოქა „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“.

უპირველეს ყოვლისა ჩეხო-სლოვაკიის მწერალთა კავშირი „შეიკრიფა“, სადაც მწერალთა უმრავლესობა, გარემოების წყალობით, პარტიის წევრებია, ხოლო ხელისუფლებას ხშირ-ხშირად აგონებს თავს და მას უადგილო ალაგას „ოპოზიციას უწევს“.

ბრატისლავიიდან მიღებული ცნობების თანახმად, „თანამდებობიდან გადაყენებულია“ მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ანდრეი პლავკა, სახელმწიფო გამომცემლობის დირეკტორი პავლე კოროვი და მწერალთა კავშირის ბეჭედთი ორგანოს რედაკტორი ალე ქსანდრე მატუსკა.

კომუნისტური პარტიის ორგანო „პრავდა“ ამ შემთხვევის გამო გამოსთქვავს თავის ულრმეს კმაყოფილებას და აცხადებს, რომ ეს ზომები საჭირო იყო, რადგან ზემო აღნიშნული პიროვნებები ცუდ გავლენას ახდენდნენ ხალ ოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებზეო.

„სლოვაკიის მწერლები—სწერს ბრატისლავიის „პრავდა“ —უყურადღებოთ სტოვებენ სოციალურსა და სოციალისტურ მოტივებს და აძლიერებენ ნაციონალურს. ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წერონ და გაამეღიერონ წარსულის მოგონებები—ისტორიული რომანები და ეპიზოდები. ამით მწერლები აფსოლუტურად შორდებიან პარტიის გენერალურ ხაზს და მუშათა კლასის ინტერესებს“.

ვენიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ რომ დასჯილია პოლონეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რადგან მას, თურმე, მისალოცი დეპეშა გაუგზავნია პასტერნაკისათვის, რომელიც კომუნისტური გაზეთების ცნობით „ყოველთვის ამეღავნებდა ანტიკომუნისტურ ზრახვებს და თავისუფალი შემოქმედების პრინციპს იცავდა, რომელსაც ის სოციალისტურ რეალიზმს უწოდებდა“.

ბულგარიაში ჯერ კიდევ არ დასრულებულა ურჩი მწერლების წმენდა. რომლებიც სიმპატიით შეხვედრიან პასტერნაკის „იდეოლოგიურად გამხრწენელ წიგნს“.

ოგივე მდგომარეობა ყოფილა უნგრეთში, სადაც მწერალთა დიდი უმრავლესობა ეუჩრება კადარის რეჟიმს და ამის ნიშნად, ორი წლის განმავლობაში, თურმე „კალამი ხელში არ აუღიათ“.

რედაქციისაგან.

გასული წლის დეკემბერში ოთხმოცი წელი შეუსრულდა ჩვენს დამსახურებულ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწე—ბ-ნ მიხ. წერეთელს.

მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა ქართველი ერის დიდი მოამაგის ღვაწლი და პარიზიდან მიღებული ცნობების თანახმად, იქ უკვე შემდგარა საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც თანახმად იუბილიარის სურვილისა, განუწრახავს პროფ. მიხ. წერეთელის მიერ „გაწმენდილი და აღდგენილი ვეფხის ტყაოსნის ტექსტის“ გამოცემა. თურმე ესა ყოფილა ჩვენი საამაყო თანამემამულის ოცნება, რომ „სიცოცხლეში იხილოს“ ის დაბეჭდილი.

საიუბილიო კომიტეტს თავმჯდომარეობს ჩვენი სასიქადულო მწერალი ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე.

საიუბილეო კომიტეტს ყველა ქვეყნებში დაუნიშნავს თავისი წარმომადგენელები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ფულის შეგროვება და ხელის მოწერა.

დარწმუნებული ვართ ჩ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველები გულთბილად შეხვდებიან ამ წამოწყებას და ფართოდ გამოეხმაურებიან.

დროა საზღვარი დაუდოთ საქართველოზე უაზრო თავდასხმებსა და უსაფუძვლო ბრალდებებს. ანტიქართული პროპაგანდის ავტორებს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ რუსეთის კავკასიაში შემოსვლის ირიბული პასუხისმგებლები სწორეთ მათი წინაპრებია, რომლებიც დღეს თავს გვესხმიან, ხოლო წარსულში კი მათი წინაპრები ყოველთვის არ იცავდნენ კეთილ მეზობლობას და,ხშირად, კავკასიის გარე მდებარე ქვეყნების მსახურებათ გამოდიოდნენ.

(დასასრული იქნება.)

დ. შალიკაშვილი

აკაკი ჩხენკელი.

საკმარისია ეს ორი სიტყვა, რომ ადამიანს თვალწინ გადაეშალოს რევოლუციონური ენით აბობოჭკრებული ცხოვრების პერიოდი...

აკაკის გარდაცვალებით ქართულ ემიგრაციას განშორდა ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთი ბუოჯთაგანი, რომელიცმტკიცედ, შეუდრეკელად და უკომპრომისოდ ეწეოდა ულელს....

განსვენებული გავიცანი და დაუახლოდი, 1919 წელს, როდესაც პარიზის ქართულ საელჩოში პატარა მოვალეობა დამაკისრეს, სადაც აკაკი საქართველოს სრულ უფლებიანი წარმომადგენელი იყო. ხშირად მიხდებოდა მასთან, არა მარტო სამსახურებრივი, არამედ მეგობრული მუსაიფიც და აღფრთოვანებული ვიყავი მისი ღრმა ცოდნით, გამოცდილებით და სიდარბაისლით. ხანგრძლივი დაკვირვების და ამ მრავალფეროვანი პიროვნების შესწავლის შემდეგ დამიმუშავდა აზრი, რომ აკაკი საათვის რუსულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ყოფნა უბრალო იარაღი იყო რუსულ თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად და მის დასამხობად, რის გარეშეც ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება და მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა შეუძლებელი იყო.

განსვენებული ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციონურ მოძრაობაში და კიევის სტუდენტთა მოძრაობის დროს, როგორც თითონ იტყოდა ხოლმეებედნიერმა იღბალმა გადაარჩინა და უნივერსიტეტი დაასრულა 1903 წელს, რის შემდეგაც ის გაემგზავრა გერმანიაში. სამშობლოში დაბრუნებულს ირჩევენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს (დუმა) წევრად, სადაც მან დაჰკო რევოლუციამდე.

თვითმპყრობელობის დამხობისთანავე აკაკი უბრუნდება მშობლიურ ქვეყანას და აკტიურ მონაწილეობას ღებულობს ამიერ კავკასიის სეიმის დაარსებაში.

აკაკი ქართულ სოციალ-დამოკრატიულ პარტიაში იმ ფრთის მეთაური იყო, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყონებლივ გამოცხადებას მოითხოვდა. ამ ნიადაგზე, განსვენებულს დიდი წინააღმდეგობა დახვდა თავის კოლეგებში—პარტიის ლიდერებში, მაგრამ აკაკის პატრიოტიზმი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე კოლეგების წინააღმდეგობა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის აღიარება, მისი განაღდება და მისი დაცვა, სწორედ იმ ფრაქციის გამარჯვება იყო, რომელსაც აკაკი მეთაურობდა, რომლის მეთაურიც აკაკი იყო....

განსვენებულს მას შემდეგ არ შეუწყვეტია მშობლიურ ქვეყანაზე ზრუნვა და ფიქრი და ფხიზელი გუშაგი იყო ჩვენი ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.

აკაკის პირად უნარსა და ღირსებას უნდა მი ეწეროს, რომ 1921 წელში რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის დამხობის შემდეგ დიდ ხანს ფრიალებდა პარიზში ეროვნული დროშა და ფრანგული ხელისუფლება ქართველი ერის კანონიერ წარმომადგენლად მხ ოლოდ აკაკის ცნობდა.

ისიც აკაკის გონიერი, ზომიერი და ენერგიული შრომის შედეგი იყო,რომ—გარემოების წყალობით, როცა საფრანგეთი იძულებულ იყო მოსკოვის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა და ქართული საელჩო გაეუქმა, მან ქართული საემიგრაციო ოფისი დაარსა, რომლის მიერ გაცემულ დოკუმენტს ფრანგული ადმინისტრაცია პატივითა და ღირსებით ეკიდებოდა. ულმობელმა სიკვდილმა წარგვტაცა ძველი, მებრძოლი თაობის ეს უკანასკნელი წარმომადგენელიც, რომელიც ცოცხლობდა საქართველოს მარადიულობის იდეით და რომელიც ჩაიფერფლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ოცნებაში.

მსუბუქი იყოს მის მკერდზე უცხო მიწა და როცა მისი ნაინატრი აღსრულდება და საქართველო თავის-თავის უფალი გახდება, მაღლიერი ერი მასაც გაიხსენებს და მის ნეშტს სამშობლოსათვის აღსრულებულთა პანთეონს მიაბარებს.

ბე კი, როგორც ერთ დროს მისი უნცროსი თანამშრომელი, რომელმაც ბევრი რამ შეითვისა და ისწავლა განსვენებულისაგან, მუხლს ვიდრეკ მისი ხსოვნის წინაშე, მის სულს დიდი მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ პარიზში გარდაიცვალა ქართული ემიგრაციის მემარცხენე ფრთის თვალსაჩინო მოღვაწე

გრიგოლ ურატაძე

„ქართული აზრი“-ს რედაქცია ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მის შვილს და ნარესავებს

ნუ თუ?

მეგობრები მატყობინებენ, რომ ემიგრაციაში ახალი პროვოკაციული ფურცლები გავრცელებულა. იმასაც მატყობინებენ, რომ ამ ჯერათაც პროვოკაციულ ფურცლებს ჩემი პიროვნება და ჩემი მეგობრები ამოუდიათ მიზანში. აქ ახალი არაფერია. ბოლშევიზმის თავდასხმას—ხან ფიზიკურ, ხან მორალურს და ხან ფსიქოლოგიურს, მე და ჩემი მეგობრები „უხსოვარი“ დროიდან განვიცდით და ეს უფრო მეტად გაძლიერდა, რამდენათაც ბოლშევიკებმა ომის შემდეგ ახდილად სცადეს ჩვენი ემიგრაციის წარყვნა-გათახსირება, რამაც ჩემი „მიმიხილვები“ გამოიწვია.

ამ მოვლენაში ახალი მხოლოდ ის არის, რომ ამ „ამად პროვოკაციული ფურცელი თუ რმე ძველებურად არც ანონიმურია და არც „კოლეკტიური“ პასუხისმგებლობით გამოცემული, არამედ მას ხელს აწერს ბოლშევიკების საზღვარგარეთელ საიდუმლო-საჯაშუშო ორგანიზაციის ყოფ. „გმირი“ გ. გამყრელიძე.

„გაღმა გვედავებაო“ მწერს ერთი მეგობარი. ვის არ ედავება გაღმა კომუნიზმი? განა მოსკოვის მთელი ფსიქოლოგიური თავდასხმა გაღმა გადავება არ არის? პატარა მასშტაბით ჩვენ იმასვე განვიცდით მოსკოვის აგენტებისაგან, რასაც მთელი თავისუფალი ანტიკომუნისტური სამყარო.

ამ მოვლენაში აღსანიშნავი მხოლოდ ის არის, რომ ბოლშევიკებს ხელმეორედ გამოუყვანიათ ასპარეზზე ერთხელ უკვე გახსნილი და ნიღაბ ახდილი აგენტი!

ნუ თუ ასრულდა ჩვენი ნატვრა და ბოლშეპიკებმა ახალი პროვოკაციებისათვის ახალი ძალები ვეღარ იშოვეს და ამტომ ძველი, გაცვეთილი აგენტი გამოიყენს?

დ. სინდიკელი.

ემიგრაციის ცხოვრებიდან.

ნიუ-იორკი:

ქართული სათვისტომოს გამგეობამ დიდი ზეიმით გადაიხადა საქართველოს განმანთლებელი წმინდა ნინოს დღესასწაული.

ბერძნების მართლმადიდებელ კათედრალში, ბერძენმა მოძღვარმა გადაიხადა პარაკლისი, რის შემდეგაც გაიმართა საერთო ნადიმი.

ნადიმზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნ ოთარ ზალდასტანიშვილმა. მან მოკლედ განიხილა ქრისტიანიზმი, მისი როლი და დამსახურება საკაცობრიო კულტურა-ცივილიზაციის წინაშე და მოხდენილად აღნიშნა ქართველი ხალხის წინაშე წმინდა ნინოს ის დიდი ღვაწლი, რომლითაც მან აფსოლუტურად შესცალა ქართული მოდგმის განვითარების გზები და საქართველო მაღალი ქრისტიანული კულტურის მჭედლათ აქცია.

ლონდონი:

გასული დეკემბრის 27-ს, ლონდონში არსებული ქართული სათვისტომოს გამგეობის თაოსნობით მოეწყო ტფილისის 1500 წლის თავის საზეიმო კრება. გარდა სათვისტომოს მოს წევრებისა, კრებას მოესწრნენ დაეხწრნენ მეგობარი და მეზობელი ქვეყნებიდანაც.

მრავალი მოხსენება იყო წაკითხული ქართულ, ინგლისურ და ბოლონურ ენებზე.

დამსწრე სტუმრებიდან აღსანიშნავი პროფ ლანგის და სახანოვიჩის სიტყვა.

პროფ. ლანგი აღნიშნავს, რომ „თუ საფრანგეთს შეუძლიან ინმაყოს პარიზით, იტალიას რომით და სხ., საქართველოსაც შეუძლიან ია მაყოს იმ ქალაქით, რომელმაც გმირულად გადიტანა ცეცხლის ზვიმები თავის მეობის და სახეობის შესანარჩუნებლად“-ო. ხოლო ბ-ნმა სახანოვიჩმა განაცხადა: „ქართველებო, ნუ იტყვით, რომ ტფილისი მარტო თქვენია. თქვენ კარგად იცით, რომ ტფილისის ცხოვრების ცვალებადობა მოღიან ეფექტს ახდენდა ჩვენ შინაურ ყოფა-ცხოვრებაზეო“.

დასასრულს საზოგადოების სმენა დაატკბეს ინ. ი. მენთეშაშვილის ბავშვებმა, რომლებმაც მოხდენილი ქართულით წარმოსთქვეს სხვა და სხვა პოეტების მიერ ტფილისისადმი მიძღვნილი ლექსები.

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli,
PUBLISHER: Georgian National Alliance, 40 E. 65 St., N. Y. C.